



ფინანსური აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
თორნიკე შერმადინი

15 ნოემბერი, 2021 წელი

N 44/36

ეგზ.: N 1

საქართველოს რეგიონული განვითარებისა
და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისთვის
კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	3
	მოსაზრება	4
	1. უარყოფითი მოსაზრების საფუძველი	5
	2. მნიშვნელოვანი გარემოებები	10
	3. სხვა გარემოებები	14
	4. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა	16
დანართები	ფინანსური ანგარიშგების ფორმები და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	18
	კონსოლიდირებული ერთეულები	66
	საკონტაქტო ინფორმაცია	66

ტერმინები და შემოკლებები

სამინისტრო – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

მინისტრი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი.

სამინისტროს აპარატი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი.

აღრიცხვის ინსტრუქცია – „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

დეპარტამენტი – სსდ – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

სსდ – სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება.

ფონდი – სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

ცენტრი – სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი.

ანაკლიის სააგენტო – სსიპ – ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო.

ცვეთის ინსტრუქცია – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მთავარი ამოცანაა ქვეყნის რეგიონებში გრძელვადიან სარგებელზე გათვლილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების განვითარება, მოსახლეობის წყლით მომარაგების სისტემების დაწესებულებისა და განვითარების ღონისძიებათა უზრუნველყოფა, არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა, ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობა, მართვა და სხვ.

სამინისტროს სტრუქტურაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება, სსიპ – ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო, რომელიც სამინისტროს უწყებას წარმოადგენდა, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის N76 დადგენილებით დაექვემდებარა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს მმართველობაშია ორი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) და ერთი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება (სსდ).

ცხრილი N1. ინფორმაცია სამინისტროს 2020 წლის დამტკიცებული, დაზუსტებული ბიუჯეტისა და საკასო ხარჯის შესახებ (ლარი)

დასახელება	დამტკიცებული	დაზუსტებული	სხვაობის%	საკასო ¹
სულ სამინისტრო	1,818,677,500	1,838,989,500	1%	2,200,632,980
შრომის ანაზღაურება	8,680,000	8,610,000	-1%	8,612,157
საქონელი და მომსახურება	105,540,000	97,340,000	-8%	97,226,675
სუბსიდიები	65,625,000	65,377,500	0%	75,420,101
გრანტები	40,020,000	40,000,000	0%	38,207,394
სოციალური უზრუნველყოფა	170,000	120,000	-29%	115,385
სხვა ხარჯები	71,034,000	74,336,000	5%	74,300,616
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,420,288,500	1,462,380,000	3%	1,769,714,727
ფინანსური აქტივების ზრდა	107,320,000	90,826,000	-15%	137,035,925

ცხრილი N2. ინფორმაცია ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების გადანაწილების შესახებ (ლარი)²

საბალანსო ერთეულის დასახელება	თანხა	%
სულ სამინისტრო:	2,200,632,980	100%
სამინისტროს აპარატი	303,429,620	14%
სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	403,314,018	18%
სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი	917,787,051	42%
სსდ - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	576,077,804	26%
სსიპ - ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო	24,487	0%

¹ სამინისტროს განმარტებით, საკასო შესრულების გადაჭარბება დაზუსტებულ ბიუჯეტთან მიმართებით გამოწვეულია 2020 წლის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების გადაჭარბებით შესრულებასთან. კერძოდ, დაჩქარდა რამდენიმე პროექტის დაწყება.

² ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ის მიხედვით, გარდა ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებისა, საკუთარმა შემოსავლებმა შეადგინა 26,924,658 ლარი, რომელიც ძირითადად შედგება მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მიღებული საპროცენტო შემოსავლებისგან.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მოსაზრება

უარყოფითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და მის კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულების³ (ერთად – ჯგუფის) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ განმარტებით შენიშვნებს,⁴ მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლის აზნაში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებული არ არის საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სათანადო საფუძვლების⁵ შესაბამისად.

³ იხ. დანართი „კონსოლიდირებული ერთეულები“.

⁴ საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანების მუხლი N17, შენიშვნები 1-დან 21-ის ჩათვლით.

⁵ „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

1. უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

1.1 მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები

სამინისტროს სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით,⁶ თუ არსებობს დებიტორული დავალიანების გარკვეული ნაწილის გადაუხდელობის ალბათობა, სამინისტრო შესაბამისი მოთხოვნების ხანდაზმულობიდან გამომდინარე,⁷ ამცირებს დებიტორული დავალიანებების ნაშთს, საექვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირების გზით.

სსდ – საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“ მუხლში, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხულია მოთხოვნები 5,331,569 ლარის ოდენობით.⁸ აღნიშნული წარმოადგენს სხვადასხვა ორგანიზაციაზე⁹ სასამართლო გადაწყვეტილებების შედეგად დაკისრებულ თანხებს, რომლებზეც რამდენიმე წელია ბრუნვა არ განხორციელებულა.

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდს ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“ მუხლში, აღიარებული აქვს სასესხო მოთხოვნა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიმართ 465,437 ლარის ოდენობით.¹⁰ აღსანიშნავია, რომ მიუხედავად თანხის მიღებისთვის ფონდის მიერ განხორციელებული არაერთგზის კორესპონდენციისა, მუნიციპალიტეტს 2017 წლიდან მითითებული მოთხოვნა არ დაუფარავს.

ასევე, ფონდს ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივების“ მუხლში აღრიცხული აქვს 4,175,820 ლარის მოთხოვნები.¹¹ აღნიშნული მოთხოვნების უმეტესობაზე მიმდინარეობს სასამართლო დავა და ფონდი ფინანსური ანგარიშების ახსნა-განმარტებით ბარათში განმარტავს, რომ მათი მიღების ალბათობა დაბალია, შესაბამისად, ისინი სრულად ვერ აკმაყოფილებენ აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

სამინისტროს სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, ზემოაღნიშნული მოთხოვნები ექვემდებარება საექვო მოთხოვნის რეზერვში გადატანას, რაც არ არის შესრულებული.

შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“ მუხლი გაზრდილია 5,797,006 ლარით, ხოლო „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივების“ მუხლი გაზრდილია 4,175,820 ლარით.

1.2 ძირითადი აქტივები

სსბასს 3 – „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომების“ შესაბამისად,¹² ერთეულმა რეტროსპექტულად უნდა გაასწოროს წინა საანგარიშგებო პერიოდის არსებითი შეცდომები, გამოსაცემად ნებადართულ პირველსავე ფინანსურ ანგარიშგებაში.

⁶ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2021 წლის 4 აპრილის N47/ო ბრძანება „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სააღრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“.

⁷ ერთი წლის განმავლობაში გადაუხდელი თანხები.

⁸ წარმოშობილია 2003-2016 წლებში.

⁹ 5,331,569 ლარის მოთხოვნებიდან – 5,202,177 ლარი სს „კომპანია თბილისის“ მიმართ არსებული მოთხოვნაა (4,935,857 ლარი გადარიცხულია 2015 წელს ავანსის სახით, ხოლო 266,320 ლარი არის დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა), რასთან დაკავშირებითაც არსებული სასამართლო დავა დასრულებულია 2018 წელს დეპარტამენტის სასარგებლოდ და 2019 წლიდან მიმდინარეობს აღსრულების პროცესი, თუმცა აუდიტის ანგარიშის თარიღისთვის დავალიანება არ არის მიღებული.

¹⁰ 246,010 ლარის სასესხო მოთხოვნა მასზე დარიცხულ ჯარიმებითა და პროცენტებით 219,427 ლარის ოდენობით.

¹¹ წარმოშობილია 2010-2017 წლებში. აღნიშნული მოთხოვნებიდან 2,574,737 ლარი კონტრაქტორებზე დარიცხული ჯარიმებია, აქედან, 1,160,208 ლარი არის ბანკიდან გამოთხოვილი მიუღებელი საგარანტიო თანხა და მასზე დარიცხული საურავი, დანარჩენი 440,873 ლარი კი – კონტრაქტორებზე გადახდილი ავანსები.

¹² სსბასს 3, მუხლი 47.

საავტომობილო გზების დეპარტამენტმა 2020 წელს ბალანსზე ასახა ძირითადი აქტივები¹³ ჯამური ღირებულებით – 25,708,210 ლარი, რომლებიც 2017-2019 წლებში შევიდა ექსპლუატაციაში.¹⁴ აღნიშნულ აქტივებზე დეპარტამენტმა ცვეთის დარიცხვა დაიწყო ბალანსზე ასახვის მომენტიდან და რეტროსპექტულად არ გაუსწორებია წინა საანგარიშგებო პერიოდის შეცდომები.¹⁵

შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „ძირითადი აქტივების“ საწყისი ნაშთი შემცირებულია 24,917,146 ლარით,¹⁶ ხოლო საბოლოო ნაშთი გაზრდილია წინა პერიოდების დაგროვილი ცვეთის 791,064 ლარის ოდენობით.

1.3 სხვა არაფინანსური აქტივები

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხულია 2,819,811,478 ლარის ღირებულების „სხვა არაფინანსური აქტივები“, რომელიც სრულად მოიცავს დაუმთავრებელ მშენებლობებს.

სსდ – საავტომობილო გზების დეპარტამენტს „დაუმთავრებელი მშენებლობის“ მუხლში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული აქვს 1,608,650,020 ლარის ღირებულების არაფინანსური აქტივები, რომლებიც წარმოადგენს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში შექმნილ ისეთ ინფრასტრუქტურულ ძირითად საშუალებებს, როგორებიცაა, გზები, ხიდები და გვირაბები.

აღსანიშნავია, რომ 2020 წლამდე გზების დეპარტამენტი არ აწარმოებდა ზემოთ მითითებულ მუხლში შემავალი აქტივების რეესტრს. შესრულებული სამუშაოების მოცულობა საბუღალტრო პროგრამაში გატარებული იყო ჯამურად. შესაბამისად, გართულებული იყო ანგარიშზე აკუმულირებული თანხების პროექტების მიხედვით იდენტიფიცირება და შესაბამისი დოკუმენტების მოძიება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2019 წლის ფინანსური აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, დეპარტამენტმა გამოიჯნა 1,000,526,777 ლარის ღირებულების დაუმთავრებელი აქტივები პროექტების მიხედვით, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. ამავე დროს 297,305,381 ლარის ღირებულების ისეთი აქტივები, რომელთა იდენტიფიცირებაც ვერ მოხერხდა, საწყისი ნაშთის კორექტირების გზით ჩამოიწერა დამატებითი მოკვლევისა და განმარტების გარეშე.¹⁷

ასევე: დეპარტამენტის დაუმთავრებელი აქტივების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილი არაფინანსური აქტივების¹⁸ ნაშთი არ მოიცავს 2020 წლამდე მათ შექმნასთან დაკავშირებული საზედამხედველო მომსახურების შესყიდვაზე გაწეული ხარჯების ღირებულებას, რაც აქტივებზე კაპიტალიზებადი დანახარჯებია.¹⁹ შესაბამისად, 2020 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული დაუმთავრებელი აქტივების ღირებულება შემცირებულია არსებითად. მსგავსი ტიპის საზედამხედველო მომსახურების შესყიდვაზე გაწეულმა ხარჯმა 2020 წელს 54,242,272 ლარი შეადგინა.²⁰

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდს „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ მუხლში ერიცხება 808,672 ლარის ღირებულების აქტივები, რომლებიც

¹³ საგზაო მაგისტრალის მონაკვეთები.

¹⁴ აქტივების მიმღები კომისიის მიერ გაფორმებული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე.

¹⁵ დეპარტამენტის განმარტებით, შეცდომა გასწორებულია 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

¹⁶ ისტორიული ღირებულება - 25,708,210 ლარი, დაგროვილი ცვეთა - 791,604 ლარი.

¹⁷ დეპარტამენტის განმარტებით, 297,305,381 ლარის ღირებულების ჩამოწერილი აქტივების იდენტიფიცირების სამუშაოები მოცულობითა და ანგარიშის თარიღისათვის მიმდინარეობს მათი დამატებითი შესწავლის სამუშაოები.

¹⁸ დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში შექმნილი აქტივები.

¹⁹ ისეთი დანახარჯები, რომლებიც ემატება აქტივების ღირებულებას.

²⁰ აღსანიშნავია, რომ დეპარტამენტმა ვერ მოგვაწოდა ინფორმაცია 2020 წლამდე გაწეული საზედამხედველო ხარჯების შესახებ.

წარმოშობილია 2012 წლამდე და მათი დეტალური იდენტიფიცირება და ინვენტარიზაცია ვერ ხერხდება. შესაბამისად, აღნიშნული აქტივები არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მივიღეთ რწმუნება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების „სხვა არაფინანსური აქტივების“ მუხლში ასახული თანხების არსებობაზე, სისწორესა და სისრულეზე.

1.4 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სსიპს 35 – „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების“²¹ მიხედვით, თუ მაკონტროლებელი ერთეული კონტროლს კარგავს დაქვემდებარებულ ერთეულზე, წყდება ყოფილი კონტროლირებული ერთეულის აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

სსიპ – ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო, რომელიც სამინისტროს უწყებას წარმოადგენდა, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის N76 დადგენილებით, დაექვემდებარა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. შესაბამისად, სამინისტრო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღარ იყო ანაკლიის სააგენტოს მაკონტროლებელი ერთეული.

მიუხედავად ამისა, სამინისტროს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ანაკლიის სააგენტოს აქტივებისა და ვალდებულებების იმ ნაშთებს, რომლებიც სააგენტოში ფიქსირდებოდა 2020 წლის 6 თებერვლის მდგომარეობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გაზრდილია 5,756,767 ლარის ოდენობით.

1.5 სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები

სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი წარმოადგენს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსურ მენეჯერს, რომელიც დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ პროექტებზე შესრულებული სამუშაოების შესაბამისად გადარიცხავს თანხებს.

დონორების დაფინანსებული პროექტების ფარგლებში წლის განმავლობაში წარმოშობილი კრედიტორული დავალიანებების, გადარიცხული ავანსების, საკურსო სხვაობისა და არაფინანსური აქტივების შექმნისთვის გადახდილი თანხები, ფინანსური აქტივის სახით გადაეცემა დეპარტამენტს, როგორც „კაპიტალური გრანტები ფულადი ფორმით“. გრანტის ფორმით მიღებულ ფინანსურ აქტივებს დეპარტამენტი აკლასიფიცირებს შესაბამის ანგარიშებზე და ასახავს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ცენტრის მიერ დეპარტამენტისათვის გადაცემული გრანტი და მიწოდებული ინფორმაცია არ მოიცავს 2020 წელს ერთ-ერთი კომპანიის²² მიმართ წარმოშობილ გრძელვადიან კრედიტორულ დავალიანებას 7,848,564 ლარის ოდენობით. ფინანსური ანგარიშგება ასევე არ მოიცავს აღნიშნული კრედიტორის წინაშე არსებული ვალდებულების საწყის ნაშთს – 696,952 ლარის ოდენობით.

სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა 2020 წელს შეცვალა მუნიციპალიტეტების თანადაფინანსების თანხებისა და აქტივების გადაცემის ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი. მუნიციპალიტეტების მიერ გადახდილი თანადაფინანსების თანხები ნაცვლად შემოსავლისა, აღიარდება ვალდებულებად.

²¹ სსიპს 35, მუხლი 52.

²² CHINA ROAD AND BRIDGE CORPORATION-ის საქართველოს ფილიალი.

აღნიშნული, სსბას 3 – „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომების“ შესაბამისად, წარმოადგენს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას, რაც ასახული უნდა იყოს რეტროსპექტულად.

ფონდმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება ასახა რეტროსპექტულად, გარდა ხაშურის მუნიციპალიტეტის მიმართ წარმოქმნილი ვალდებულებისა, რომელიც 2020 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,308,924 ლარს. ფონდის ფინანსურ ანგარიშგებაში საწყისი და საბოლოო ნაშთები სწორად არ არის დაკორექტირებული. კერძოდ, კრედიტორული დავალიანების საწყისი ნაშთი შემცირებულია 816,106 ლარით, ხოლო საბოლოო ნაშთი – 768,757 ლარით.²³

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების „სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებების“ მუხლში ასახული საწყისი ნაშთი შემცირებულია 1,513,058 ლარით, ხოლო საბოლოო ნაშთი – 9,314,273 ლარის ოდენობით.

1.6 საპროცენტო შემოსავლები, საპროცენტო ხარჯები

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდის 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში მყარი ნარჩენების მართვის პროექტის ფარგლებში გაცემულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი შეადგენს 2,617,716 ლარს, საიდანაც 2,172,986 ლარი არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის ასანაზღაურებელი თანხა, რაც ფონდის ანგარიშგებაში ასახულია, როგორც საპროცენტო ხარჯი. აუდიტის ჯგუფმა გადათვალა აღნიშნული საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები. შედეგად დადგინდა, რომ ფონდის მიერ 2020 წელს აღიარებული საპროცენტო შემოსავალი გაზრდილია 444,730 ლარით, ხოლო საპროცენტო ხარჯი – 421,323 ლარით.

შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „საპროცენტო შემოსავლების“ მუხლი გაზრდილია 444,730 ლარით, ხოლო „ფინანსური ხარჯების (საპროცენტო ხარჯები)“ მუხლი – 421,323 ლარით.

1.7 გრანტები ტრანსფერები და სუბსიდიები – ხარჯები

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი შესრულებული სამუშაოების საფუძველზე შექმნილ დაუმთავრებელ ძირითად აქტივებს „კაპიტალური გრანტების“ მუხლით გადასცემს შესაბამის მუნიციპალიტეტებს. ფონდის 2020 წლის ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგების „გრანტის ხარჯის“ მუხლში ასახულია მუნიციპალიტეტებისთვის²⁴ გადაცემული 5,533,733 ლარის ღირებულების დაუმთავრებელი ძირითადი საშუალება,²⁵ რომელიც მიეკუთვნება 2019 წლის პერიოდს და არ წარმოადგენს 2020 წლის ხარჯს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „გრანტები, ტრანსფერები და სუბსიდიების ხარჯის“ მუხლი გაზრდილია 5,533,733 ლარით.

1.8 ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები

სსიპ – საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები შეადგენს 137,788,888 ლარს, სადაც 95% საგზაო მაგისტრალის წლიური ცვეთის ხარჯია.

ცვეთის ინსტრუქციით დადგენილია საავტომობილო გზების სასარგებლო მომსახურების ვადები გზის საფარის ტიპების მიხედვით.²⁶ ბალანსზე ასახული გზების ნაწილი შედგება მონაკვეთებისგან, რომლებიც შესაძლოა ერთდროულად

²³ აღნიშნული შეცდომა იდენტიფიცირებულია ფონდის მიერ და გასწორებულია 2021 წელს.

²⁴ ამბროლაურისა და თიანეთის მუნიციპალიტეტები.

²⁵ თიანეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნადოკრა-ხევსურთსოფლის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 3,423,102 ლარი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნიკორწმინდაში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის „ტაძარი ნიკორწმინდას“ ინფრასტრუქტურის და ძეგლამდე მისასვლელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 2,110,631 ლარი.

²⁶ ცემენტბეტონის 50წ., ასფალტბეტონის 31წ., ლორის და ხრემის 19წ.

მოიცავდეს განსხვავებული ტიპის გზის საფარს. დეპარტამენტი ცვეთის ხარჯის დათვლისას, არ ითვალისწინებს გზის კონკრეტულ მონაკვეთზე სხვადასხვა ტიპის საფარის არსებობის ფაქტს და მთლიანი მონაკვეთისთვის ცვეთას ითვლის გზის ერთ-ერთი საფარისთვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადით.

შედეგად, დეპარტამენტის მიერ დათვლილი საგზაო მაგისტრალის წლიური ცვეთის ხარჯი შეუსაბამოა ცვეთის ინსტრუქციის მოთხოვნებთან, რის გამოც ვერ მივიღეთ რწმუნება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული „ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯების“ სისწორის შესახებ. აღნიშნული საკითხი გავლენას ახდენს „ძირითადი აქტივების“ მუხლის ნაშთზეც,²⁷ რომელიც ცვეთის ხარჯის ეფექტით არასწორად არის წარმოდგენილი.

1.9 სხვადასხვა ხარჯები

სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის მიერ სსდ – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის გადაცემული გრანტი²⁸ მოიცავს 65,472,698 ლარის ოდენობის უარყოფით საკურსო სხვაობას, რომელიც საბოლოო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება „სხვადასხვა ხარჯების“ მუხლში. აუდიტის ჯგუფმა გადათვალა აღნიშნული საკურსო სხვაობა და გამოვლინდა, რომ მონაცემი 12,818,235 ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული „სხვადასხვა ხარჯების“ მუხლი შემცირებულია 12,818,235 ლარით.

ასევე აღსანიშნავია, რომ სსდ – საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ინფორმაცია დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში უცხოურ ვალუტაში წარმოშობილი კრედიტორული დავალიანებებს შესახებ, რომელიც ცენტრის მიერ გადაფასებულია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

დადგინდა, რომ აღნიშნული კრედიტორული დავალიანებების გადაფასების ეფექტი არ არის ასახული საკურსო სხვაობით განპირობებულ მოგებაში/ზარალში. შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საკურსო სხვაობა შესაძლოა შეცდომით იყოს წარმოდგენილი.²⁹

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მივიღეთ რწმუნება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში „სხვადასხვა ხარჯების“ მუხლში წარმოდგენილი საკურსო სხვაობის სისწორისა და სისრულის შესახებ.

²⁷ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგზაო მაგისტრალის ნაშთი: 3,083,732,458 ლარი.

²⁸ გადაცემული გრანტის შესახებ დეტალური განმარტება მოცემულია საკითხში 1.5.

²⁹ ცენტრში ბუღალტრული გატარებების არარსებობის გამო, აუდიტის ჯგუფმა ვერ შეძლო აღნიშნული საკურსო სხვაობის გადათვლა და ზუსტი ეფექტის დადგენა.

2. მნიშვნელოვანი გარემოებები

2.1 სხვა არაფინანსური აქტივები

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ქვემოაღნიშნულ საკითხებთან მიმართებით:

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდის „სხვა არაფინანსური აქტივების“ მუხლში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია 1,014,859 ლარის ღირებულების დაუმთავრებელი აქტივები, რომლებზეც 2018 წლიდან ბრუნვა არ ყოფილა. აღნიშნული აქტივები წარმოადგენს 2018 წელს შესრულებული სხვადასხვა საპროექტო სამუშაოების ღირებულებას, რომლის სამომავლო გამოყენების გეგმა ფონდს შემუშავებული არ აქვს.

შესაბამისად, აღნიშნული არაფინანსური აქტივებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა აუდიტის თარიღისთვის არ არის განსაზღვრული.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ მუხლში ასახული იყო 2006 – 2017 წლებში წარმოშობილი, 103,236,067 ლარის ღირებულების აქტივები.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, დეპარტამენტმა შექმნა საინვენტარიზაციო კომისია. კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე მნიშვნელოვნად დაკორექტირდა 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დაუმთავრებელი აქტივების საწყისი ნაშთები, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

თუმცა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დეპარტამენტის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, „სხვა არაფინანსური აქტივების“ მუხლში, კვლავ რჩება 2006 – 2017 წლებში წარმოშობილი 35,176,809 ლარის ღირებულების აქტივები, რომლებზეც 2017 – 2020 წლებში ბრუნვა არ განხორციელებულა. აღნიშნული დაუმთავრებელი აქტივებიდან შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 26,573,177 ლარს, ხოლო 8,603,632 ლარის აქტივები წარმოადგენს საპროექტო სამუშაოების ღირებულებას. კომისიის მიერ გაცემულ რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ საპროექტო სამუშაოები შესაძლოა აღარ აკმაყოფილებდნენ აქტივად აღიარების კრიტერიუმებს და საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას საპროექტო და სხვა სამსახურებთან კოორდინაციით. სამინისტროს განმარტებით, საინვენტარიზაციო კომისიის რეკომენდაციის შესაბამისად, გრძელდება დაუმთავრებელი აქტივების შესწავლის პროცესი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დეპარტამენტისა და ფონდის ბალანსზე ასახული „სხვა არაფინანსური აქტივების“ ნაშთი, შესაძლოა მოიცავდეს ისეთ დაუმთავრებელ აქტივებს, საიდანაც მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება ნაკლებად სავარაუდოა და რაც საჭიროებს დამატებით კვლევას. შესაბამისად, ისინი შესაძლოა არ აკმაყოფილებდეს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

2.2 განმარტებითი შენიშვნები

სამინისტროს განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი აღრიცხვის ინსტრუქციით გათვალისწინებული სსბასს-ის შესაბამისად განსაზღვრული ინფორმაცია. კერძოდ:

დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით წარდგენილ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია სსბასს 20-ის – „დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნები“ მოთხოვნათა შესაბამისად.

კერძოდ, განმარტებით შენიშვნებში არ არის მოცემული დეტალური ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების

შესახებ და არ არის წარმოდგენილი სტანდარტით მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია.³⁰

შესადარისი თანხების ცვლილების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა

სამინისტროს განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“³¹ – სსბასს 1-ის მიხედვით განსაზღვრული ინფორმაცია. კერძოდ, განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი შესადარისი თანხების რეკლასიფიკაციის შემთხვევები.

გრანტები, ტრანსფერები და სუბსიდიები

სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის განმარტებითი შენიშვნების მიხედვით, „მიმდინარე ტრანსფერების“ მუხლში ასახული 19,082,093 ლარი მოიცავს სუბსიდიების მუხლიდან გაწეულ ხარჯებს, რომელიც შედგება ადმინისტრაციული, საკონსულტაციო და სხვა ტიპის მომსახურებებზე გაწეული ხარჯებისგან.

ცენტრის ახსნა-განმარტებით ბარათში სუბსიდიების მუხლთან მიმართებით ასახული განმარტება არ შეესაბამება „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“³² – სსბასს 1-ის მოთხოვნებს, რომლის მიხედვით, სამართლიანი და შესაბამისი ინფორმაციის წარსადგენად ერთეულმა განმარტებით შენიშვნებში აღიარებული ხარჯები უნდა დაყოს ქვეჯგუფებად, რათა ნათლად გამოიკვეთოს ანგარიშვალდებული ერთეულის კონკრეტულ პროგრამებზე, სხვა საქმიანობებზე ან რომელიმე სეგმენტზე გაწეული დანახარჯები.

შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული მუხლიდან გაწეული ხარჯები შინაარსობრივად შედგება შემდეგი კატეგორიებისგან:

ცხრილი N5. სუბსიდიების მუხლიდან გაწეული ხარჯების კატეგორიები (ლარი)

ხარჯის ტიპი	თანხა	%
სულ:	19,082,093	100%
სესხის და გრანტის მომსახურება ³³	10,088,193	53%
გზის მოვლა-შენახვის და კომპენსაციის ხარჯი	4,866,143	26%
საკონსულტაციო მომსახურება	3,227,222	17%
სხვა	900,535	5%

საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვაზე გადახდილი 3,227,222 ლარიდან, კონსულტანტ იურიდიულ პირებზე გადარიცხულმა თანხამ შეადგინა 528,105 ლარი, ხოლო კონსულტანტ ფიზიკურ პირებზე გადარიცხულმა თანხამ – 2,699,117 ლარი. აღნიშნული თანხების დაფინანსების წყარო და ოდენობა მითითებულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში N6.

ცხრილი N6. საკონსულტაციო მომსახურების დაფინანსების წყარო (ლარი)

საკონსულტაციო მომსახურება	3,227,222	100%
კრედიტი	2,292,451	71%
ბიუჯეტი	906,772	28%
გრანტი	27,999	1%

ზემოაღნიშნული ხარჯები არსებითია როგორც თანხობრივად, ასევე შინაარსობრივად. შესაბამისად, მომხმარებლისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, განმარტებები ასეთი ხარჯების შესახებ

³⁰ სსბასს 20, მუხლები: 27-41.

³¹ სსბასს 1, მუხლი 55.

³² სსბასს 1, მუხლები: 93; 106; 109; 111.

³³ საკრედიტო და საგრანტო პროექტების მომსახურების საკომისიო, რომელიც ჩამოიჭრება დონორების მიერ ცენტრის საკრედიტო და საგრანტო რესურსიდან.

დეტალურად უნდა იყოს წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში, რაც არ არის განხორციელებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სრულყოფილად არ ასახავს ანგარიშის მომხმარებლებისათვის საჭირო მნიშვნელოვან ინფორმაციას.

2.3 სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდს „სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებების“ მუხლში აღრიცხული აქვს 1,773,068 ლარის ღირებულების³⁴ ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულებულ სამუშაოებზე მომწოდებლებისთვის ხარისხის უზრუნველყოფისთვის დაკავებული თანხები. აღნიშნული ვალდებულებები მოიცავს წინა პერიოდებში წარმოშობილ ნაშთებს, რომლებთან დაკავშირებული კონტრაქტები უმეტეს შემთხვევაში შეწყვეტილია და დეფექტების აღმოფხვრის პერიოდის გონივრული ვადაც ამოწურულია.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად,³⁵ აღნიშნული ვალდებულებები ექვემდებარება შემოწმებას და საანგარიშგებო პერიოდისთვის ვალდებულებების აღიარების კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენას.

2.4 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სსბასს 35 – „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების“ მიხედვით,³⁶ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით, ანალოგიურ ვითარებაში მომხდარი მსგავსი ოპერაციებისა და სხვა მოვლენების მიმართ.

გრძელვადიანი/მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების კლასიფიკაცია

სამინისტროში არ არის შემუშავებული პოლიტიკა ინფრასტრუქტურული პროექტებთან მიმართებით, კერძოდ, შესრულებულ სამუშაოებზე მომწოდებლებისთვის ხარისხის უზრუნველყოფისთვის დაკავებული თანხების აღრიცხვასთან დაკავშირებით. დეპარტამენტი ხარისხის უზრუნველყოფისთვის დაკავებულ თანხებს მიჯნავს მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად, ხოლო ფონდი და ცენტრი ამ ტიპის ვალდებულებებს აკლასიფიცირებს მხოლოდ გრძელვადიან კრედიტორულ დავალიანებებად. აღნიშნული არ შეესაბამება სსბასს 35-ის მოთხოვნებს.

შესაბამისად, ვერ მივიღეთ რწმუნება, რამდენად სწორად არის კლასიფიცირებული ხარისხის უზრუნველყოფისთვის დაკავებული თანხები გრძელვადიან/მოკლევადიან ვალდებულებებად 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში.

სასამართლო დავები

სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებებში არ არის ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი მიდგომა სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით.

კერძოდ, მუნიციპალური განვითარების ფონდისგან განსხვავებით, დეპარტამენტსა და სამინისტროს აპარატში არ არის ფორმალიზებული საფინანსო და იურიდიული სამსახურის კომუნიკაციის წესი და პირობები, არ ხდება სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგების შეფასება და ფინანსურ

³⁴ 974,212 ლარის ღირებულების ვალდებულებები მიჩნეულია პრობლემურად, ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მიხედვით.

³⁵ „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“.

³⁶ სსბასს 35, მუხლი 38.

ანგარიშგებაში მოთხოვნების, ვალდებულებების, პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების ასახვა.³⁷

შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებული მოთხოვნები, ვალდებულებები და პირობითი აქტივები/ვალდებულებები არ არის ასახული ერთგვაროვანი სააღრიცხვო მიდგომით, რაც არ შეესაბამება სსზაქს 35-ის მოთხოვნებს.

³⁷ სსზაქს 19.

3. სხვა გარემოებები

3.1 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია 134,178,213 ლარის გრძელვადიანი ფინანსური აქტივები, საიდანაც ანგარიშზე „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“ აღრიცხულია 16,191,299 ლარი, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა პერიოდში სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში³⁸ ფულად და ქონებრივ შენატანებს, კომპანიების დაგროვილი აკუმულირებული ზარალის გათვალისწინებით.

„ინვესტიციები მეკავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობებში“ – სსბას 36-ის მიხედვით, კაპიტალ-მეთოდი გულისხმობს წილობრივი მონაწილეობის თავდაპირველ აღრიცხვას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მის კორექტირებას მეკავშირე ერთეულის ან ერთობლივი საქმიანობის წმინდა აქტივებში/კაპიტალში ინვესტორის კუთვნილ წილში შეძენის შემდგომ მომხდარი ცვლილების შესაბამისად.³⁹ აქედან გამომდინარე, სამინისტრომ 2020 წელს შეცვალა სააღრიცხვო პოლიტიკა და ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში რეტროსპექტულად აღრიცხა კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით.

შედეგად, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ კაპიტალში შენატანი 386,806,711 ლარის ოდენობით, სსბას 36-ის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სრულად გაუფასურდა.⁴⁰

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ ნაშთი – 82,331,287 ლარი, რომელშიც გათვალისწინებული იყო კომპანიის 2020 წლის გაუნაწილებელი მოგება – 3,993,738 ლარი, გაუფასურდა 66,139,987 ლარის აკუმულირებული ზარალის⁴¹ ოდენობით და შეადგინა 16,191,299 ლარი.

აუდიტის მიმდინარეობისას მიღებული აუდიტირებული ანგარიშგების⁴² მიხედვით, მყარი ნარჩენების კომპანიის აკუმულირებული ზარალი 2020 წლისთვის განისაზღვრა 56,314,054 ლარის ოდენობით, მათ შორის, პერიოდის ზარალმა შეადგინა 2,158,302 ლარი, ნაცვლად – 3,993,780 ლარის მიმდინარე პერიოდის მოგებისა. აუდიტირებული მონაცემების გათვალისწინებით, ინვესტიციების საწყისი ნაშთი, ნაცვლად 12,190,319 ლარისა, შეადგენს 24,174,554 ლარს, ხოლო ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნაცვლად 16,191,299 ლარისა, შეადგენს 22,023,495 ლარს.

შედეგად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლში ასახული ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში შემცირებულია 5,832,196 ლარის ოდენობით, ხოლო „სხვადასხვა შემოსავლების“ მუხლი გაზრდილია 3,993,738 ლარით.

3.2 გამოუყენებელი ფულადი სახსრები

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი ფლობს განახლებადი ენერგიის განვითარების პროგრამის⁴³ ფარგლებში გაცემული სესხების დაფარვის შედეგად

³⁸ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.

³⁹ სსბას 36, მუხლი N8, განმარტებები.

⁴⁰ აღსანიშნავია, რომ აუდიტის მიმდინარეობისას მიღებული აუდიტირებული ანგარიშგების მიხედვით (BDO, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, 2021 წლის 5 აგვისტო), წყალმომარაგების კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განისაზღვრა 383,126,000 ლარით, რაც 3,680,711 ლარით ნაკლებია სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ინვესტიციაზე, გაუფასურების მომენტამდე.

⁴¹ სამინისტრომ გაუფასურებისთვის იხელმძღვანელა კომპანიების არააუდიტირებული მონაცემებით, ვინაიდან ბალანსის ჩაბარების მომენტისთვის კომპანიებს არ ჰქონდათ დასრულებული 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

⁴² დამოუკიდებელი აუდიტორების (Moore abc) დასკვნა შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანია“, 2021 წლის 29 ივნისი.

⁴³ 2008 წლის 18 აპრილის შეთანხმება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ფონდს შორის განახლებადი ენერგიის ფონდის მართვის მომსახურების შესახებ.

წარმოქმნილ ფულად სახსრებს 23,376,544 ლარის⁴⁴ ოდენობით, რომელიც აკუმულირდება 2014 წლიდან.

პროექტის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით არ არის განსაზღვრული დაბრუნებული თანხის მომავალი მიზნობრიობა. ამავდროულად, ხელშეკრულების პირობები არ ითვალისწინებს ვალდებულების აღიარებას ფინანსთა სამინისტროს მიმართ⁴⁵ და არ არსებობს ფორმალური დოკუმენტი, რომელიც ფონდს შეუზღუდავს აღნიშნული რესურსის გამოყენებას.

აღსანიშნავია, რომ ფონდი ფულად რესურსს არ იყენებს საკუთარ საქმიანობაში, შესაბამისად, იკარგება ეკონომიკური სარგებლის მიღების შესაძლებლობა.

3.3 დაუმთავრებელი აქტივები

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდმა 2020 წელს „დაუმთავრებელი აქტივების“ მუხლის საწყისი ნაშთი შეამცირა 33,558,817 ლარით. აღნიშნული თანხა წარმოადგენს 2014-2020 წლებში ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით განხორციელებული პროექტის⁴⁶ ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ღირებულებას, რაც დასრულების შემდგომ ექვემდებარებოდა ბენეფიციარისთვის – შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისთვის“ გადაცემას. შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ წერილობით ადასტურებს, რომ არ არის წინააღმდეგი მიიღოს აღნიშნული აქტივები, შემდგომში მათი ექსპლუატაციის მიზნით, თუმცა აქტივების მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს მხოლოდ ფონდის წარმომადგენელი. შესაბამისად, ოპერაცია განხორციელებულია სრულყოფილი დოკუმენტური საფუძვლის გარეშე.

⁴⁴ 5,810,291 ევრო (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით).

⁴⁵ სესხების დასაფინანსებლად ფულადი რესურსი გამოყოფილია ფინანსთა სამინისტროს მიერ KFW-ს მიერ გაცემული გრანტის ფარგლებში.

⁴⁶ „წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი II (EIB, EU)“.

4. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი – უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაამყაროს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;

- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;

- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას;
- ვასკვნით, ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით – არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;
- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორები**ხელმოწერა****ანა ბურდიაშვილი**

აუდიტორი

თეკლა ონიანი

წამყვანი აუდიტორი

თათია ცისკარაული

უფროსი აუდიტორი

ლიზი ცივაძე

უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

დიანა ცოტაძე


უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

სარდიონ მოსეშვილი

უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

დავით ზაბაზიძე

აუდიტორ-ასისტენტი



**ფინანსური
ანგარიშგების
ფორმები და ახსნა-
განმარტებითი
შენიშვნები**

- ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება;
 - ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება;
 - წმინდა აქტივების/კაპიტალში ცვლილების შესახებ ანგარიშგება;
 - ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება
 - ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
-

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (ნაერთი)
ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება

	მუხლები	შენიშვნა	საანგარიშგებო 2020 წელი	საანგარიშგებო წლის წინა 2019 წელი
	აქტივები			
	მოკლევადიანი აქტივები			
001	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	N2	-	-
002	მიმდინარე ინვესტიციები	N2ა	8,497,595	34,267,413
003	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები	N2ა	473,277,023	491,855,297
004	მატერიალური მარაგები	N3	6,560,029	5,984,186
005	სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები	N4	1,185,525,502	1,065,558,207
006	სულ მოკლევადიანი აქტივები		1,673,860,149	1,597,665,103
	გრძელვადიანი აქტივები			
007	გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	N5	134,178,213	71,297,383
008	ძირითადი აქტივები	N6	3,799,434,492	3,599,490,205
009	საინვესტიციო ქონება	N7	-	-
010	არამატერიალური აქტივები	N8	568,083	683,655
011	შეღავათიანი მომსახურების აქტივები	N9		
012	ფინანსური ლიზინგის აქტივები	N10		
013	სხვა არაფინანსური აქტივები	N11	2,820,012,926	2,014,652,234
014	სულ გრძელვადიანი აქტივები		6,754,193,714	5,686,123,477
015	სულ აქტივები		8,428,053,863.0	7,283,788,580.0
	ვალდებულებები			
	მოკლევადიანი ვალდებულებები			
016	მოკლევადიანი ნასესხები თანხები	N12	4,108,935	4,053,357
017	კრედიტორული დავალიანება	N13ა	381,000,921	411,488,987
018	მ.შ. გადასახდელი პროცენტი	N13ა	819,789	29,521
019	მიმდინარე ანარიცხები	N13ბ	773,666	25,000
020	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	N13ა	-	-
021	ვალდებულებები დეპოზიტებით	N13გ	132,999	771,773
022	ვალდებულებები აქციებით და სხვა კაპიტალით	N13გ	-	-
023	სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		386,836,310	416,368,638
	გრძელვადიანი ვალდებულებები			
024	გრძელვადიანი ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით	N12		
025	გრძელვადიანი კრედიტები და სესხები	N12	61,665,767	21,938,718
026	გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება ფინანსური იჯარით	N10, N12		
027	შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულებებით განსაზღვრული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება	N9, N12		
028	გრძელვადიანი ანარიცხები	N13დ	4,416,158	4,050,083
029	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	N13ა	110,265,543	113,638,821
030	სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		176,347,468	139,627,622
031	სულ ვალდებულებები		563,183,778	555,996,260
	წმინდა აქტივები/კაპიტალი			
032	შეტანილი კაპიტალი			
033	გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი		7,864,870,085	6,727,792,320
034	სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი		7,864,870,085	6,727,792,320
035	სულ ვალდებულებები და წმინდა აქტივები/კაპიტალი		8,428,053,863	7,283,788,580

საქართველოს რეგიონული
განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტრო
ასლი დედანთან სწორია
საშემისწავრებლის საშემართველს
უფროსი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (ნაერთი)
ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება

	მუხლები	შენიშვნა	საანგარიშგებო 2020 წელი			საანგარიშგებო წლის წინა 2019 წელი
			სამიწვეტო სახსრები	არასამიწვეტო სახსრები	სულ	სულ
	შემოსავლები					
001	საგადასახადო შემოსავლები	N14 ა	-	-	-	-
002	შემოსავლები სოციალური შენატანებით		-	-	-	-
003	შემოსავლები სანქციებით, გარიშებით და საურავებით	N14 გ	22,204,035	58,299	22,262,334	2,311,088
004	შემოსავლები გრანტებით	N14 ბ	317,287	318,873	636,160	24,690
005	შემოსავლები გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვაგვარ არ არის კლასიფიცირებული	N14 გ	2,079,114	405,190	2,484,304	613,078
006	შემოსავლები შიდა ტრანსფერებით	N14 გ	2,064,102,552	-	2,064,102,552	2,121,193,244
007	შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან გარდა პროცენტისა და გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებისა	N15ა	-	-	-	-
008	გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები	N15ბ	-	-	-	-
009	საპროცენტო შემოსავლები	N15ა	-	21,192,044	21,192,044	18,896,643
გადასესხებული სესხები - კორექტირება განხორციელდა კომპანიების მიერ ფინანსთა სამინისტროდან მიღებული გადასესხებული სესხების, რომელიც გრძელვადიან ფინანსურ აქტივებში (მოთხოვნები კომპანიების მიმართ) ასახული ჰქონდა აპარატს - 668,336,265 ლარის ოდენობით.

შესაბამისად გადასესხებული სესხები არ აღიარდება სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში არც როგორც აქტივი გაცემული სესხის სახით და არც როგორც ვალდებულება მიღებული სესხის სახით იმის გამო, რომ აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი არ გადაეცემა სამინისტროს. კერძოდ:

აქტივი

- სამინისტროს არ გააჩნია რაიმე უფლება სესხებთან დაკავშირებული თანხების მიღებაზე;
- სამინისტროში არ არის მოსალოდნელი მომსახურების პოტენციალის ან ეკონომიკური სარგებლის მიღება;
- სესხის ძირის და პროცენტის მიმღები არ არის სამინისტრო.

ვალდებულება

- სამინისტროს არ გააჩნია რაიმე ფინანსური ვალდებულება სესხის დაფარვაზე;
- სამინისტროდან არ არის მოსალოდნელი მომსახურების პოტენციალის ან ეკონომიკური სარგებლის გასვლა;
- სესხის ძირი და პროცენტი იფარება სესხის მიმღების (კომპანია, მუნიციპალიტეტი ან სხვა) მიერ;
- სამინისტროს არ ეკისრება რაიმე ფინანსური ვალდებულება სესხის მიმღების (კომპანია, მუნიციპალიტეტი ან სხვა) მიერ სესხის თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში.

გადასესხებულ სესხებთან დაკავშირებით არ არის დაკმაყოფილებული აქტივად და ვალდებულებად აღიარების კრიტერიუმები.

ფონდი

ფონდის გრძელვადიანი ფინანსური აქტივების ნაწილში ასახულია ფონდის მიერ გაცემული სესხების გრძელვადიანი ნაწილი.

ფონდს გაცემული აქვს შემდეგი კატეგორიის სესხები:

- მუნიციპალიტეტებზე გაცემული გრძელვადიანი სესხები, საინვესტიციო პროექტების დაფინანსებისთვის;
- განახლებადი ენერგიის პროგრამის ფარგლებში ჰიდროელექტროსადგურების დასაფინანსებლად სს „თი-ბი-სი“ და სს „ვითიბი“ ბანკებზე გაცემული სესხები;
- შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაზე“ გაცემული სესხი, ინვესტიციური ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში ობიექტის მიღებასთან დაკავშირებით;



- შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებაზე“ გაცემული სესხი საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 ნოემბრის N2477 განკარგულების შესაბამისად.

აღნიშნული გრძელვადიანი ფინანსური აქტივის (სესხების) ანგარიში ყოველწლიურად მცირდება, სასესხო ხელშეკრულების გრაფიკით გათვალისწინებული მოკლევადიანი (მიმდინარე) შემოსულობების დაგეგმილი ოდენობით, რაც გადადის გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილის ანგარიშზე.

აღნიშნულ ანგარიშზე ასახულია გრძელვადიანი სასესხო მოთხოვნა მუნიციპალიტეტების მიმართ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მყარი ნარჩენების მართვის პროექტის და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ურბანული ტრანსპორტის განვითარების პროექტის ფარგლებში - 61,665,767 ლარის ოდენობით, რაც რეალურად არ წარმოადგენს ფონდის ფინანსურ აქტივს, ვინაიდან დაბრუნებული უნდა იქნას საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის. აღნიშნული ვალდებულება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ ასახულია გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებების ანგარიშზე. მაგრამ ვინაიდან, აღნიშნული სესხების ფარგლებში სასესხო ხელშეკრულებებს მუნიციპალიტეტებთან აფორმებს ფონდი და სესხების მართვასაც ახორციელებს თავად.

- იღებს სესხთან დაკავშირებულ ადმინისტრაციული მომსახურებისთვის სარგებელს.
- აღრიცხული აქვს როგორც მოთხოვნა მუნიციპალიტეტების მიმართ, ასევე ვალდებულება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ (რისი ფინანსური შედეგიც 0-ის ტოლია)
- სააღრიცხვო პოლიტიკით ასეთი სესხები ასახული უნდა იყოს ფონდის ფინანსურ ანგარიშგებაში.

ძირითადი აქტივები

სამინისტრო ძირითადი საშუალებების აღრიცხვას აწარმოებს სსბას 17 სტანდარტის შესაბამისად.


ძირითადი აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, თუ:

- მოსალოდნელია მასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღება;
- შესაძლებელია მისი საიმედო შეფასება;
- ღირებულება 500 ლარია და მეტი.

სამინისტროს და მის კონტროლს დაქვემდებარებულ ყველა ერთეულში აქტივების მიღების პროცესი და მათი აღიარება იდენტურია, გარდა დეპარტამენტის ბალანსზე არსებული ინფრასტრუქტურული აქტივებისა.

სამინისტრო ყველა ძირითად აქტივს აღიარებს იმ თარიღით, როდესაც ისინი იქნა მიღებული, ძირითადი აქტივის საწყისი შეფასება ხდება თვითღირებულებით, ასევე აღირიცხება ცალკე ანგარიშზე დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

სამინისტრო ძირითად აქტივებზე ცვეთის დარიცხვას აწარმოებს წრფივი მეთოდის გამოყენებით.



თუ აქტივების მიღება გასვლა ხდება სამინისტროს სისტემის შიგნით, კონსოლიდაციის დროს გამოყენებულია ელიმინირების მეთოდი.

ძირითადი აქტივების ინვენტარიზაციას სამინისტრო ატარებს წელიწადში ერთხელ.

აპარატი

აპარატი მოიცავს შემდეგი სახის ძირითად აქტივებს:

- „არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა“ - ასახულია სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა - 5,085,178 ლარის ოდენობით;
- „მიწა“ - 642,387 ლარის ოდენობით;
- „სატრანსპორტო საშუალებები“ - 922,834 ლარის ოდენობით;
- „სხვა მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები“ - 245,764 ლარის ოდენობით.

აპარატს გრანტის სახით მიღებული აქვს 133,351 ლარის მანქანა-დანადგარები, ხოლო ამავე მუხლით გასული არის 42,430 ლარის მანქანა-დანადგარები.

დეპარტამენტი

დეპარტამენტის ძირითად აქტივებს გარდა სამინისტროს სისტემაში შემავალი ყველა სხვა აქტივებისა წარმოადგენენ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შედეგად შექმნილი აქტივები.

- „არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობები“ - ასახულია დეპარტამენტის ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის და ქ. ბათუმის ოფისები, რომელთა საბალანსო ღირებულება შეადგენს - 5,432,266 ლარს;
- „სხვა ნაგებობები“-ს ნაწილში ასახული 3,526,562,665 ლარი წარმოადგენს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ს/გზებისა და სხვა საგზაო ნაგებობების საბალანსო ღირებულებას;
- „სატრანსპორტო მოწყობილობა“ დეპარტამენტის ბალანსზე ირიცხება 2,539,336 ლარის სატრანსპორტო საშუალებები;
- „მიწა“ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, ცენტრისა და სხვა პროექტების მშენებლობის ფარგლებში საანგარიშო წელს შესყიდულია 27,448,326 ლარის მიწა და დეპარტამენტის ბალანსზე ასახულია 252,000,183 ლარით;
- „სხვა მანქანა-დანადგარები და მოწყობილობის“ მუხლში ასახული 626,615 ლარის ღირებულების აქტივები წარმოადგენენ საოფისე ინვენტარსა და ტექნიკას.

დეპარტამენტს გრანტის სახით მიღებული აქვს 1 ერთეული სატრანსპორტო საშუალება 42,429 ლარის ღირებულების, რომელიც გადმოცემულია სამინისტროს აპარატიდან.

სხვა შემოსავლებში მიღებული აქვს სატრანსპორტო საშუალებები ღირებულებით 815,204 ლარის ოდენობით. აღნიშნული 8 ერთეული სატრანსპორტო საშუალება გადმოცემულია ავტომაგისტრალის მშენებლობის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში და სხვა კომერციული კომპანიებისგან.

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტმა გრანტების სახით უსასყიდლოდ გადასცა 219,061 ლარის სატრანსპორტო საშუალებები, კერძოდ:

საქართველოს რეგიონული
განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტრო
ასლი დედაქმანე სწორია
საქმისწარმოების სამმართველოს
უფროსი

სამინისტროს აპარატს გადაეცა 1 ერთეული სატრანსპორტო საშუალება ღირებულებით 67,028 ლარი.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს გადაეცა 3 ერთეული სატრანსპორტო საშუალება ღირებულებით 79,352 ლარი.

ადგილობრივ თვითმმართველობებს გადაეცა 2 ერთეული სატრანსპორტო საშუალება ღირებულებით 72,681 ლარი.

ასევე, სხვა მანქანა დანადგარებში და ინვენტარში „გრანტებით“ გასულია 2,496,000 ლარის ღირებულების 800 ერთეული ვიდეოსამეთვალყურეო კამერა, რომელიც გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

„სხვა მიღებებში“ ასახული 21,385 ლარი არის სამინისტროს აპარატიდან გადმოცემული ა/მანქანის დაგროვილი ცვეთა, ხოლო აღნიშნული მუხლის „სხვა გასვლებში“ ნაჩვენებია 272,225 ლარი არის გადაცემული ავტომანქანების დაგროვილი ცვეთა.

ფონდი

ფონდის ძირითად აქტივებს წარმოადგენს ფონდის ადმინისტრაციული საქმიანობისთვის გამოყენებული ძირითადი საშუალებები.

- „არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობები“ - წარმოადგენს ფონდის ადმინისტრაციულ შენობას, რომლის ღირებულება შეადგენს 3,135,301 ლარს;
- „სხვა ნაგებობები“- 5,029 ლარის ღირებულების;
- „სატრანსპორტო მოწყობილობები“ - 917,561 ლარის ღირებულების;
- „სხვა მანქანა დანადგარები და მოწყობილობები“ - 527,584 ლარის ღირებულების.

„სხვა შემოსავლები“ - უსასყიდლოდ მიღებული აქტივები: საზედამხებდევლო კომპანიაში ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით ფონდს უსასყიდლოდ გადასცა პროექტის მიზნებისთვის გამოყენებული 4 ერთეული სატრანსპორტო საშუალება, რომელთა ღირებულებამ შეადგინა 389,967 ლარი.

ასევე სხვა კომერციული კომპანიიდან უსასყიდლოდ მიიღო სხვადასვა სახის ტექნიკა და ინვენტარი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 15,224 ლარი.


9,734 ლარი წარმოადგენს დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის გამო ფონდის მიერ სადაზღვევო კომპანიიდან მიღებული სატრანსპორტო საშუალების ღირებულებას.

ჩამოწერილი ძირითადი საშუალებების ისტორიულმა ღირებულებამ შეადგინა 234,924 ლარი, მათ შორის ჩამოწერილი სხვადასხვა სახის ტექნიკის და ინვენტარის ისტორიულმა ღირებულებამ შეადგინა 202,887 ლარი, აკუმულირებული ცვეთა - 197,641 ლარი.

ხარჯებში აღიარებული ნარჩენი ღირებულება შეადგენდა 5,246 ლარს;

ასევე, ფონდის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის გამო ჩამოწერილი ავტოსატრანსპორტო საშუალების ისტორიულმა ღირებულებამ შეადგენდა 32,037 ლარს, მისი აკუმულირებული ცვეთაა 22,041 ლარი. ნარჩენი ღირებულების შემცირება შეადგენს 9,996 ლარს.

სააგენტო



სააგენტოს ძრითად აქტივებში აღიარებული აქვს 3,479 ლარის სხვა მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა.

არამატერიალური აქტივები

სამინისტრო არამატერიალური აქტივების აღრიცხვისას იყენებს სსბასს 31 სტანდარტს.

სამინისტროს აქვს შემდეგი ტიპის არამატერიალური აქტივები:

- კომპიუტერული პროგრამები;
- ვებ-აპლიკაციები;
- ლიცენზიები პროგრამული უზრუნველყოფისთვის.

არამატერიალური აქტივების აღრიცხვისას სამინისტრო იყენებს თვითღირებულების მეთოდს.

სამინისტრო არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვას აწარმოებს წრფივი მეთოდის გამოყენებით.

აპარატი

აპარატის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენს კომპიუტერული პროგრამები და მათი საბალანსო ღირებულება საანგარიშო წლის ბოლოსთვის შეადგენს 129,067 ლარს.

დეპარტამენტი

დეპარტამენტის არამატერიალური აქტივების ღირებულება საანგარიშო წლის ბოლოსთვის შეადგენს 264,814 ლარს.

ფონდი

ფონდის არამატერიალური აქტივების ღირებულება საანგარიშო წლის ბოლოსთვის შეადგენს 173,593 ლარს.

სააგენტო

სააგენტოს არამატერიალური აქტივების ღირებულება საანგარიშო წლის ბოლოსთვის შეადგენს 609 ლარს.

სხვა არაფინანსური აქტივები

არაფინანსური აქტივები, რომელიც გამიზნულია თავიდანვე გადასაცემად სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით უნდა აღირიცხოს როგორც მარაგები, მაგრამ ვინაიდან „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანებით მოცემულია არაფინანსური აქტივების მუხლით შექმნილი დაუმთავრებელი მშენებლობებისთვის შესაბამისი ანგარიში, რომელიც ასევე ითვალისწინებს გადასაცემად განკუთვნილ აქტივებსაც და შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების ფორმებთან, სამინისტრო დაუმთავრებელ მშენებლობას აღრიცხავს სხვა არაფინანსურ აქტივების მუხლში.

დეპარტამენტი

დეპარტამენტის სხვა არაფინანსური აქტივები შედგება იმ აქტივებისგან, რომლებიც მშენებლობის პროცესშია (დაუმთავრებელი მშენებლობა), ასევე გამიზნულია გადასაცემად (მარაგი).

აღნიშნული მუხლი მოიცავს, როგორც ბიუჯეტის სახსრებით ასევე დონორების დაფინანსებით შექმნილ აქტივებს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციის გათვალისწინებით მოხდა 2020 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით დონორების დაფინანსებით შექმნილი არაფინანსური აქტივების შესწავლა და შესაბამისად დაკორექტირდა (შემცირდა) არაფინანსური აქტივების მუხლი - 332,715,505.26 ლარით. შესაბამისად საწყისი ნაშთი ნაცვლად 1,945,642,930 ლარისა განისაზღვრა 1,612, 927, 425 ლარით.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციის გათვალისწინებით 2006-2017 წლებში წარმოშობილი, დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების სტატუსის დაზუსტებისა და შემდგომში მათი ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობის დადგენის თაობაზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით, დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ღირებულება ბიუჯეტით დაფინანსებული ნაწილის ფარგლებში შემცირებულია 18,559,390 ლარით, რაც ასევე რეტროსპექტიულად ასახულია 2020 წლის საწყის ნაშთებში.

დეპარტამენტის არაფინანსური აქტივები საანგარიშო წლის ბოლოს შეადგენს - 2,315,064,896 ლარს. სადაც ასახულია დეპარტამენტის მიერ განხორციელებული პროექტების ფარგლებში მიმდინარე სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო-სამშენებლო სამუშაოების ღირებულება.

ფონდი

ფონდის სხვა არაფინანსური აქტივები მოიცავს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესში წარმოქმნილ აქტივებს, რომლებიც საბოლოოდ გადაცემული უნდა იქნას შესაბამისი პროექტის ბენეფიციარზე.

აღნიშნულ ანგარიშზე საანგარიშო პერიოდის მიღება წარმოადგენს 2020 წლის განმავლობაში კონტრაქტორების მიერ შესრულებულ სამუშაოებს და მოწოდებული ტექნიკის ღირებულებას. გასვლა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- მუნიციპალიტეტებზე და იმავე დონის ერთეულებზე გრანტის სახით გადაცემული დასრულებული აქტივები - 286,155,262 ლარის ღირებულების ქონება („გრანტები“);
- სხვა ბენეფიციარებზე გადაცემული დასრულებული აქტივების ღირებულება - 10,877,238 ლარი („სხვა ხარჯები“);
- საინვესტიციო პროექტების თანადაფინანსების თანხების გადმორიცხვით ბენეფიციარების მიმართ წარმოქმნილი ვალდებულების შესაბამისი აქტივების გადაცემა - 1,403,92 ლარი;
- სასესხო კომპონენტის მქონე პროექტებზე ბენეფიციარებისთვის აქტივების გადაცემა, რაც კლასიფიცირებულია სესხად და სესხის ხელშეკრულებების გაფორმებამდე აღრიცხულია სასესხო მოთხოვნის წინასწარი დარიცხვის ანგარიშზე - 51,510,316 ლარი.

აღნიშნული ოპერაციების გათვალისწინებით, სულ არაფინანსური აქტივების ანგარიშზე 2021 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ასახული ნაშთი წარმოადგენს ფონდის მიერ ბენეფიციარებზე გადასაცემად შექმნილი აქტივების ღირებულებას - 504,939,786 ლარი, ამასთან,

აღნიშნული თანხიდან 445,788,150 ლარის აქტივის სამუშაოები ჯერ არ არის დასრულებული და ისინი მიმდინარე პროცესშია, ხოლო 59,151,639 ლარის ღირებულების აქტივის შექმნა 2021 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით დასრულებულია და მიმდინარეობს მათი ბენეფიციარზე გადაცემის პროცედურები.

მოკლევადიანი ვალდებულებები

ვალდებულება არის სამინისტროს მიმდინარე მოვალეობა, რომელიც წარმოშობილია წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად, ხელშეკრულების, კანონმდებლობის ან კანონის სხვა მოქმედების საფუძველზე, რომლის შესრულება გულისხმობს მომავალში სამინისტროდან მომსახურების პოტენციალის ან ეკონომიკური რესურსების გადინებას.

სამინისტრო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახავს ვალდებულებების მიმდინარე და გრძელვადიან ნაწილებს.

აპარატი


აპარატს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული აქვს ვალდებულებები, რომელიც წარმოშობილია საქონლისა და მომსახურების მიწოდებით და საანგარიშგებო წლის ბოლოსთვის შეადგენს - 27,634 ლარს.

დეპარტამენტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციის გათვალისწინებით, დეპარტამენტმა 2020 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით დააკორექტირა კრედიტორული დავალიანებები, კერძოდ:

- „საქონლისა და მომსახურების მოწოდების შედეგად წარმოქმნილ მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები საბიუჯეტო წლის ფარგლებს გარეთ“ შემცირდა 1,888 ლარით;
- „არაფინანსური აქტივების მოწოდებით წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები საბიუჯეტო წლის ფარგლებს გარეთ“ შემცირდა 11,924 ლარით;
- „საქონლისა და მომსახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები“ შემცირდა 197,709 ლარით;
- „არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები“ შემცირდა 892,837 ლარით.

დაკორექტირდა „გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების მიწოდებასთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება“ საწყისი ნაშთი, რომელიც გამოწვეულია დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში წარმოქმნილი კრედიტორებით, შესაბამისად საწყისი ნაშთი დაკორექტირდა (გაიზარდა) 792,173 ლარით, აღნიშნულმა კორექტირებამ გავლენა იქონია მიმდინარე წლის ნაშთზეც შესაბამისად 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დონორების ნაწილში კორექტირებულმა ნაშთმა შეადგინა 26,710,711 ლარი, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 27,435,359 ლარი. შედეგად საბიუჯეტო თანხებით და დონორების მიერ



დაფინანსებული პროექტების ფარგლებში წარმოშობილი მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები 2020 წლის 1 იანვრისთვის შეადგენს 44,992,259 ლარს, შესაბამისად 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 50,290,988 ლარს.

„სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები“ საწყისი ნაშთი დონორების ნაწილში დაკორექტირდა (შემცირდა) 810,074.43 ლარით, შესაბამისად 2020 წლის 1 იანვრისთვის შეადგენს 50,668,909 ლარს, რაც საბიუჯეტო სახსრებით გაზრდილი კრედიტორული დავალიანებების გათვალისწინებით აღნიშნული მუხლი ჯამურად 84,961,589 ლარის ტოლია. ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 89,202,670 ლარის.

სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანება - მოიცავს შემდეგ კატეგორიებს:

- კონტრაქტორი ორგანიზაციების მიმართ საქონელი და მომსახურების მუხლით დარიცხული მიმდინარე კრედიტორული დავალიანება - 4,508,615 ლარი;

ფონდი

ფონდის კრედიტორული დავალიანება მოიცავს შემდეგ კატეგორიებს:

სახაზინო ოპერაციებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება

- დონორების საინვესტიციო პროექტების ფარგლებში სახაზინო სამსახურის სპეციალურ სავალუტო ანგარიშზე, შესაბამისი დონორი ორგანიზაციის მიერ, წინასწარ ჩარიცხული თანხებით ვალდებულებები - 48,291,396 ლარი;
- პროგრამით გათვალისწინებული დონორის შესაბამისი სახსრების ჩამორიცხვამდე, მიმდინარე პროექტების დაფინანსებისთვის საბიუჯეტო ოვერდაფტის გამოყენებით წარმოქმნილი ვალდებულებები - 17,526,270 ლარი.

გადასახდელი პროცენტი


- 314,468 ლარი წარმოადგენს EBRD-ს მყარი ნარჩენების მართვის პროგრამის ფარგლებში დარიცხულ ვადადამდგარ საპროცენტო დავალიანებას, რომლებზეც მუნიციპალიტეტებთან შესაბამისი სასესხო ხელშეკრულებები გაფორმებულია და მიმდინარეობს სესხის მომსახურების პროცესი;
- 505,321 ლარი წარმოადგენს EBRD-ს ურბანული ტრანსპორტის განვითარების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილის საფუძველზე დარიცხულ პროცენტს.

სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანება - მოიცავს შემდეგ კატეგორიებს:

- ფონდის საკუთარი სახსრების ანგარიშზე საგარანტიო თანხების მიღებით წარმოქმნილი ვალდებულებები ბიუჯეტის მიმართ - 449,500 ლარი;
- სადაზღვევო კომპანიის მიმართ დარიცხული მიმდინარე კრედიტორული დავალიანება - 23,475 ლარი.

მიმდინარე ანარიცხები

ანარიცხებთან დაკავშირებით ფონდი ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახავს მიმდინარე სასამართლო დავების გათვალისწინებით მოსალოდნელ ვალდებულებებს. საკითხთან დაკავშირებით პირველადი ინფორმაციის მომზადებას ახორციელებს ფონდის იურიდიული დეპარტამენტი. მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ალბათობის სათანადო



სტანდარტის გამოყენებით, ფონდი ანარიცხებში ასახავს მხოლოდ იმ მოსალოდნელ ვალდებულებებს, რომელთა ფონდისთვის დაკისრების ალბათობა საკმაოდ მაღალია. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებით ანარიცხებში გამიჯნულია მისი მიმდინარე და გრძელვადიანი ნაწილი.

სხვა ვალდებულებები - ვალდებულებები დეპოზიტებით მოიცავს შემდეგ კატეგორიებს:

- მუნიციპალიტეტებზე ფონდის მიერ გაცემული სესხების დაფარვის დროს მუნიციპალიტეტების მიერ ფონდისთვის ზედმეტად გადმორიცხული თანხებს, რომლებიც ირიცხება ფონდის საკუთარი სახსრების სახაზინო ანგარიშზე და წარმოადგენს მუნიციპალიტეტების მიმართ ფულად ვალდებულებას - 2,554 ლარი;
- საივესტიციო პროექტების თანადაფინანსებისთვის მუნიციპალიტეტების მიერ ფონდისთვის ზედმეტად გადმორიცხული თანხები, რაც ჩარიცხულია სახაზინო სამსახურში არსებული ფონდის საკუთარი სახსრების ანგარიშზე და ექვემდებარება მუნიციპალიტეტებისთვის დაბრუნებას - 130,445 ლარი.

ცენტრი

ცენტრის კრედიტორული დავალიანება მოიცავს დონორების საინვესტიციო პროექტების ფარგლებში სახაზინო სამსახურის სპეციალურ სავალუტო ანგარიშზე, შესაბამისი დონორი ორგანიზაციის მიერ, წინასწარ ჩარიცხული თანხებით ვალდებულებები - 246,198,068 ლარს;

სააგენტო

სააგენტოს კრედიტორული დავალიანება მოიცავს საქონლისა და მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ დავალიანებას 9,852 ლარის ოდენობით და სხვა მოკლევადიან კრედიტორულ დავალიანებას 5,754,000 ლარის ოდენობით.

გრძელვადიანი ვალდებულებები


დეპარტამენტი

დეპარტამენტის სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები მოიცავს შემდეგ კატეგორიებს:

კონტრაქტორების მიერ შესრულებული სამშენებლო სამუშაოებიდან ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დაკავებულ თანხები, რაც ანაზღაურებული იქნება კონტრაქტორის მიერ სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით, და მიეკუთვნება გრძელვადიან ფინანსურ ვალდებულებას. „სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები“ საწყისი ნაშთი დონორების ნაწილში დაკორექტირდა (შემცირდა) 810,074.43 ლარით, შესაბამისად 2020 წლის 1 იანვრისთვის შეადგენს 50,668,909 ლარს, რაც საბიუჯეტო სახსრებით გაზრდილი კრედიტორული დავალიანებების გათვალისწინებით აღნიშნული მუხლი ჯამურად 84,961,589 ლარის ტოლია. ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 89,202,670 ლარის.

ფონდი

ფონდის სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები მოიცავს შემდეგ კატეგორიებს:



- კონტრაქტორების მიერ შესრულებული სამშენებლო სამუშაოებიდან დაკავებული სარეზერვო თანხები - 18,964,662 ლარი, რაც ანაზღაურებული იქნება კონტრაქტორის მიერ სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და მიეკუთვნება გრძელვადიან ფინანსურ ვალდებულებას;
- კონტრაქტორების მიერ შესრულებული სამშენებლო სამუშაოებიდან დაკავებული სარეზერვო თანხები (პრობლემურები), რომელთა ანაზღაურება შეჩერებულია მიმდინარე სასამართლო დავების და სხვა მიზეზებით - 974,212 ლარი;
- მუნიციპალიტეტების მიერ საინვესტიციო პროექტების თანადაფინანსებისათვის, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ფონდის საკუთარი სახსრების ანგარიშზე გადმორიცხული თანხებით წარმოქმნილი გრძელვადიანი არაფულადი ვალდებულებები, რაც ფონდის მიერ ანაზღაურებული უნდა იქნას შესამაზის ძირითადი აქტივის/სამშენებლო-ინფრასტრუქტურული ობიექტის გადაცემით - 1,123,999 ლარი.

სასამართლო დავები

სამინისტროს სისტემაში საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე აქვთ მიმდინარე სასამართლო დავები.

სამინისტროში არსებული სასამართლო დავებთან დაკავშირებით არ ხდება მოგების ალბათობების შეფასება გარდა ფონდისა. თუმცა ყველა მიმდინარე დავების გამჟღავნება ხდება განმარტებით შენიშვნებში.

აპარატი

აპარატს გააჩნია როგორც ფულადი სასამართლო დავები, ასევე არაფულადი დავები. ფულადი დავების შემთხვევაში, აპარატი როგორც მოსარჩელე თანხობრივად შეადგენს - 480,767 ლარს, ხოლო მოპასუხეს შემთხვევაში სადავო თანხა განისაზღვრება - 57,580 ლარით.

დეპარტამენტი

სასამართლო დავები დეპარტამენტში შეადგენს: დეპარტამენტი როგორც მოსარჩელე - 7,160,635 ლარს, დეპარტამენტი როგორც მოპასუხე - 10,327,403 ლარს.

ფონდი

სასამართლო დავები ფონდში შეადგენს: ფონდი როგორც მოსარჩელე - 5,370,862 ლარი.

2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება

შემოსავლები

სამინისტროს შემოსავლებს გაცვლითი ოპერაციებით არეგულირებს სსბასს 9 - „შემოსავალი გაცვლითი ოპერაციებიდან“.



სამინისტროს შემოსავალი მოიცავს სამინისტროს მიერ მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის საერთო თანხას. შემოსავალი ასევე მოიცავს სახელმწიფოს აგენტის ან მესამე პირთა სახელით მიღებულ თანხებს, ასევე პრინციპალის სახელით მოზიდულ თანხას (ადმინისტრირებადი შემოსავლები), რომელიც არ იწვევს დეპარტამენტის წმინდა აქტივების/კაპიტალის ზრდას.

სამინისტროს აქვს შემდეგი სახის შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან:

1. საპროცენტო შემოსავალი - დეპოზიტებზე და გაცემულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი;
2. მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი - დონორების მიერ გამოყოფილი სახსრების გადასესხების შედეგად მიღებული საკომისიო;
3. მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი - ტენდერებში მონაწილე პრეტენდენტებისთვის სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების საფასური.

ადმინისტრირებად შემოსავლებში აღიარდება, სახელმწიფოს სახელით სამინისტროს მიერ მიღებული შემოსავლები. თანხის ჩარიცხვის შემთხვევაში, წლის ბოლოს აღიარდება ხარჯი შიდა ტრანსფერის სახით ხაზინის მიმართ.

აპარატი

აპარატის შემოსავლებში აღრიცხულია:

შემოსავლები გრანტი სასაქონლო ფორმით - 141,596 ლარის ოდენობით, საიდანაც 55,650 ლარის ოდენობით თანხები მიღებულია საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, ხოლო იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებისგან 85,946 ლარის ოდენობით;

შემოსავლები მიმდინარე გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული - აღრიცხულია 96,310 ლარი;

შემოსავლებში შიდა ტრანსფერებით - აღრიცხულია 166,899,192 ლარი, ნაცვლად 303,429,620 ლარისა, რადგან სხვაობა 136,530,428 ლარი წარმოადგენს გადასესხებული სესხების ნაწილს და შესაბამისად სამინისტროს მიერ არ ხდება მსხგავსი სესხების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა. გამომდინარე აქედან შემოსავლები შიდა ტრანსფერებით მოიცავს მხოლოდ მიმდინარე ტრანსფერებს - 166,838,117 ლარს და კაპიტალურ ტრანსფერებს - 61,075 ლარს.

სხვადასხვა შემოსავლებში ასახულია:

კომპანიებზე ინვესტირებული თანხების კაპიტალ-მეთოდით გადაანგარიშების შედეგად მიღებული სხვა შემოსავლები - ფლობის შედეგად გაწეული სხვა მოგება 3,993,738 ლარი.

ასევე 197,957 ლარი არაფინანსური აქტივების აფასების შედეგად მიღებული შემოსავალი.

დეპარტამენტი

დეპარტამენტის შემოსავლებში აღრიცხულია:

გრანტები ფულადი ფორმით - დეპარტამენტს მიღებული აქვს ცენტრიდან 898,644,468 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა წარმოადგენს არაფინანსური აქტივების შექმნისთვის დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში გადახდილ თანხებს, რომელსაც



იხდის ცენტრი, დეპარტამენტში წარმოდგენილი სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციების საფუძველზე;

სასაქონლო ფორმით მიღებული შემოსავალი - შეადგენს 42,429 ლარს;

შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით - ანგარიშზე აღრიცხულია დეპარტამენტის მიერ კონტრაქტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში, სახელშეკრულებო პირობების დარღვევის გამო ბენეფიციარებზე დარიცხული ჯარიმები და საურავები;

შემოსავლები მიმდინარე გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული - მუხლში დეპარტამენტის მიერ აღრიცხული თანხა შეადგენს - 1,166,223 ლარს;

შემოსავლები კაპიტალური გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული - დეპარტამენტის მიერ აღრიცხული თანხა შეადგენს 816,581 ლარს;

შემოსავლები შიდა ტრანსფერებით - აღრიცხული თანხა შეადგენს - 576,077,804 ლარს, რომელიც წარმოადგენს ბიუჯეტიდან მიღებულ დაფინანსებას. მ.შ. შემოსავლები შიდა მიმდინარე ტრანსფერებით არის - 99,889,396 ლარი, შემოსავლები შიდა კაპიტალური ტრანსფერებით წარმოადგენს - 476,188,408 ლარს;

სხვა შემოსავლები - აღრიცხული თანხა შეადგენს - 106,141 ლარს, რომელიც წარმოადგენს კურსთაშორის სხვაობით მიღებულ შემოსავალს.

ფონდი

შემოსავლები მოიცავს:

შემოსავლები გრანტები ფულადი ფორმით - შეადგენს - 561,592 ლარს;

შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით - ანგარიშზე აღრიცხულია ფონდის მიერ კონტრაქტორებთან გაფორმებული სამშენებლო/ტექნიკის მოწოდების ხელშეკრულებების და მუნიციპალიტეტებთან გაფორმებული სესხის ხელშეკრულებების ფარგლებში, სახელშეკრულებო პირობების დარღვევის გამო ბენეფიციარებზე დარიცხული ჯარიმები და საურავები 3,595,907 ლარის ოდენობით;

შემოსავლები კაპიტალური გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული - ანგარიშზე ფონდის მიერ აღრიცხული თანხა შეადგენს - 405,190 ლარს;

საპროცენტო შემოსავლები - მოიცავს შემდეგ კატეგორიებს:

- კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან მიღებული სარგებელი - 15,170,622 ლარი;
 - განახლებადი ენერგიების პროგრამის ფარგლებში სს „თი-ბი-სი“ და სს „ვითიბი“ ბანკებზე გაცემული სესხიდან მიღებული სარგებელი - 24,573 ლარი;
 - შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაზე“ გაცემული სესხიდან მიღებული სარგებელი - 22,395 ლარი;
 - მუნიციპალიტეტებზე გაცემული სესხებიდან მიღებული სარგებელი - 5,974,454 ლარი.
- აღნიშნული თანხა მოიცავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის



ასანაზღაურებელი საპროცენტო შემოსავალიც, რაც არ წარმოადგენს ფონდის შემოსავალს.

შემოსავლები შიდა ტრანსფერებით - ნაცვლად 403,834,190 ლარისა ასახულია 403,314,018 ლარი, სხვაობა შეადგენს - 520,173 ლარს. აღნიშნული თანხა წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ განხორციელებულ პირდაპირ გადახდას, რომელიც განეკუთვნება პროგრამის ფარგლებში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული ხარჯის დაფინანსებას, რის გამოც აღნიშნული თანხა ფონდმა საკუთარ ფინანსურ ანგარიშში არ შეიტანა;

სხვადასხვა შემოსავლები - ფლობის შედეგად გაწეული სხვა მოგება - 463,874 ლარი წარმოადგენს ბიუჯეტის მიმართ აღრიცხული ვალდებულების შემცირებას.

ცენტრი

ცენტრის შემოსავლები მოიცავს შემოსავლებს შიდა ტრანსფერებით, რომელიც შედგება 19,142,583 ლარის შიდა მიმდინარე ტრანსფერებისგან და 898, 644,468 ლარი შიდა კაპიტალური ტრანსფერებით.

სააგენტო

სააგენტოს შემოსავლები მოიცავს შიდა ტრანსფერებით მიღებულ შემოსალებს, კერძოდ შემოსავლები მიმდინარე ტრანსფერებით 24,487 ლარის ოდენობით.

ხარჯები

სამინისტროს მიერ ხარჯების აღრიცხვა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენა ხდება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია საბიუჯეტო კლასიფიკაციით და არ ხდება მათი გადანაწილება სამინისტროში სხვადასხვა ფუნქციების მიხედვით.


სამინისტროს ხარჯები მოიცავს შემდეგ კატეგორიებს:

1. შრომის ანაზღაურება;
2. საქონელი და მომსახურება;
3. ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები;
4. გრანტები და სუბსიდიები;
5. გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაუფასურება;
6. სოციალური უზრუნველყოფა;
7. სხვა ხარჯები.

აპარატი

აპარატის ხარჯებში აღრიცხულია ყველა ის ხარჯი, რომელსაც აპარატი გასწევს წლის განმავლობაში და თავიდანვე განსაზღვრული აქვს ბიუჯეტით.

შრომის ანაზღაურება 3,464,781 ლარის ოდენობით;



საქონელი და მომსახურება - 2,538,436 ლარის ოდენობით;

ცვეთის ხარჯი - 321,141 ლარი. ამორტიზაციის ხარჯი - 25,432 ლარი;

გრანტები, ტრანსფერები, სუბსიდიები - 160,572,280 ლარის ოდენობით;

სოციალური უზრუნველყოფა - 77,169 ლარი;

სხვადასხვა ხარჯები, რომელიც მოიცავს ძირითადი აქტივების გაუფასურების ხარჯს - 27,334 ლარის და, 340 ლარის ოდენობით საშემოსავლოს ჩამოწერას, 1000 ლარი ფლობის შედეგად გაწეული სხვა ზარალი.

დეპარტამენტი

დეპარტამენტის ხარჯები მოიცავს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ხარჯს, კერძოდ:

შრომის ანაზღაურება - 5,135,951 ლარის ოდენობით, საქონელი და მომსახურებისთვის გაწეული ხარჯი - 90,038,398 ლარის ოდენობით, რომელიც მოიცავს ინფრასტრუქტურული აქტივების მოვლა შენახვისთვის გაწეულ ხარჯს.

ცვეთის ხარჯი - 137,743,176 ლარი. ამორტიზაციის ხარჯი - 45,712 ლარი.

შიდა მიმდინარე ტრანსფერებით ხარჯები 13,299,862 ლარი წარმოადგენს ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით წარმოქმნილ თანხებს, მ.შ. ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის დაკისრებულ ჯარიმებს - 13,023,732 ლარი, აღნაგობის ქირა - 11,500 ლარი, წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო თანხები - 264,630 ლარი.

გრანტები სასაქონლო ფორმით - 102,033,409 ლარი წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის გადაცემულ აქტივებს და მეორად მასალებს.

სხვადასხვა ხარჯები აღრიცხული თანხა შეადგენს - 65,501,701 ლარს, რომელიც წარმოადგენს კურსთაშორის სხვაობით მიღებულ ზარალს.

278,615 ლარი ძირითადი აქტივების გაუფასურების ხარჯი.

ფონდი

ფონდის ხარჯები მოიცავს შემდეგ კატეგორიებს:

შრომის ანაზღაურება - 2,982,602 ლარი;

საქონელი და მომსახურებისთვის გაწეული ხარჯი შეადგენს - 2,954,797 ლარს;

ცვეთის ხარჯი - 450,315 ლარი. ამორტიზაციის ხარჯი - 44,428 ლარი.

შიდა კაპიტალური ტრანსფერებით ხარჯები - ანგარიშზე ასახულია პროგრამით გათვალისწინებული დონორის შესაბამისი სახსრების ჩამორიცხვამდე, მიმდინარე პროექტების დაფინანსებისთვის საბიუჯეტო ოვერდაფტის გამოყენებისას, ბიუჯეტის ნიმართ ვალდებულების აღიარებით 2020 წელს წარმოქმნილი ხარჯი - 7,580,000 ლარი;

შიდა მიმდინარე ტრანსფერებით ხარჯები - მოიცავს ორ კატეგორიას:



- EBRD-ს ურბანული ტრანსპორტის განვითარების პროგრამის ფარგლებში, 2020 წელს ფონდის მიერ ათვისებული კრედიტის თანხაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ სასესხო ვალდებულების აღიარება - 43,715,906 ლარი;
- საბიუჯეტო სახსრების ნაწილში, საბანკო გარანტიებიდან ფონდის მიერ გამოთხოვილი და სახაზინო სამსახურში გახსნილი ფონდის საკუთარი სახსრების სპეციალურ ანგარიშზე ჩარიცხული თანხებით ოპერაციები, ბიუჯეტის წინაშე ვალდებულების აღიარება და ბიუჯეტში გადარიცხვა - 3,052,942 ლარი;

გარე კაპიტალური ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული - მოიცავს ფონდის მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში შექმნილი/შემენილი დასრულებული აქტივების გადაცემას პროექტის ისეთ ბენეფიციარებზე - რომლებიც არ არიან სახელმწიფო ხელისუფლების ერთეულები;

საპროცენტო ხარჯი - მოიცავს EBRD-ს მყარი ნარჩენების მართვის პროგრამის და EBRD-ს ურბანული ტრანსპორტის განვითარების პროგრამის ფარგლებში საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული სესხის პროცენტის მიმდინარე პერიოდის ხარჯს;

ფულადი გრანტები, იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე გაცემული - ანგარიშზე ასახულია „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად, ფონდის საკუთარი შემოსავლებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში გადასარიცხი თანხა, რაც შეადგენს საკუთარი შემოსავლების (გარდა გრანტებისა) 10%-ს;

გრანტები სასაქონლო ფორმით, სახელმწიფო ერთეულებზე გაცემული - ანგარიშზე ასახულია ფონდის მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში შექმნილი/შემენილი დასრულებული აქტივების გადაცემა პროექტის შესაბამის ბენეფიციარებზე. აღნიშნული აქტივები გადაცემული იქნა როგორც სხვადასხვა მუნიციპალიტეტზე, ასევე იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე;

სუბსიდიები სხვა სექტორებს - აღნიშნული მუხლი მოიცავს შემდეგ კატეგორიებს:

დონორების საინვესტიციო პროგრამების ფარგლებში გაწეული ფონდის საოპერაციო-ადმინისტრაციული ხარჯები - 874,101 ლარი;

დონორების საკრედიტო და საგრანტო პროექტების მომსახურების საკომისიო გადასახდელი, რომლის ჩამოჭრაც ხორციელდება დონორის მიერ ფონდის საკრედიტო და საგრანტო რესურსიდან - 1,195,262 ლარი;

საინვესტიციო პროგრამების ფარგლებში გაწეული აუდიტორული, საკონსულტაციო მომსახურების და სხვა მიმდინარე ხარჯი - 5,913,079 ლარი;


სხვა სუბსიდიების ხარჯი - 130,222 ლარი.

სხვადასხვა ხარჯები - მოიცავს შემდეგ კატეგორიებს:

მუნიციპალიტეტზე დარიცხული სესხის პროცენტის - 2,278,014 ლარის აქტივის გაუფასურების აღიარება და ამ გზით, შესაბამისი ოდენობით შემცირდა ფონდის მიმდინარე მოკლევადიანი აქტივების ანგარიში;

ექსპლუატაციიდან გასული ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულების ხარჯებში აღიარება - 6,493 ლარი;

სახელმწიფო ბიუჯეტში და ქ. თბილისის მერიის ბიუჯეტში გადარიცხული ზოგიერთი ფინანსური მოთხოვნის გაუფასურება/ხარჯებში აღიარება - 124,384 ლარი.



ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ფონდმა 2020 წლის განმავლობაში დასრულებული ინფრასტრუქტურული ობიექტები სასაქონლო გრანტის სახით გადასცა შემდეგ ორგანიზაციებს:

სსიპ - საქართველოს ეროვნულ მუზეუმს - 11,183,000 ლარის ღირებულების აქტივი;

იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს - 31,445,282 ლარის ღირებულების აქტივი;

სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს - 2,751,826 ლარის ღირებულების აქტივი;

სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს - 12,812,946 ლარის ღირებულების აქტივი;

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაზე“ გაიცა სესხი - 2,143,361 ლარის ოდენობით.

ცენტრი

ცენტრის ხარჯები მოიცავს შიდა მიმდინარე ტრანსფერებით გაწეულ ხარჯს - 2,077,478 ლარის ოდენობით, რომელიც წარმოადგენს ბიუჯეტში გადარიცხულ თანხებს. გადარიცხვის ვალდებულება დადგა კონტრაქტორის მიერ თანხების უკან დაბრუნების შედეგად.

მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული - მოიცავს სუბსიდიების მუხლიდან გაწეულ ხარჯებს, რომელიც ძირითადად შედგება როგორც ცენტრისთვის გაწეული ადმინისტრაციული ხარჯებისგან, ასევე საკონსულტაციო და სხვა ტიპის მომსახურებებზე გაწეული ხარჯებისგან და შეადგენს 19,082,093 ლარს.

გრანტები ფულადი ფორმით იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე - 898,644,468 ლარის ოდენობით, აღნიშნული ხარჯი წარმოადგენს კაპიტალურ ხარჯს, რომელიც გაწეულია დეპარტამენტის ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

სააგენტო

სააგენტოს ხარჯებს წარმოადგენს - შრომის ანაზღაურება - 10,375 ლარი, საქონელი და მომსახურებისთვის გადახდილი თანხა - 20,884 ლარს, შიდა მიმდინარე ტრანსფერებით გაწეული ხარჯი - 5,754,000 ლარი, რომელიც გადარიცხულია ბიუჯეტში და სხვა ხარჯი - 8 ლარი.

3. წმინდა კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგება

სამინისტროს და მის ერთეულებს სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავების შედეგად მოუწიათ რიგი კორექტირებების და ცვლილებების განხორციელება.

სამინისტრო რეტროსპექტულად ასწორებს წინა საანგარიშგებო პერიოდის არსებით შეცდომებს, წარსადგენად მომზადებულ პირველივე ფინანსურ ანგარიშგებაში შეცდომების გამოვლენისთანავე შემდეგი გზით:

- იმ წარდგენილი საანგარიშგებო პერიოდ(ებ)ის შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშებით, რომელშიც დაშვებულ იქნა შეცდომა; ან
- წარდგენილი ყველაზე ადრეული საანგარიშგებო პერიოდის აქტივების, ვალდებულებებისა და წმინდა აქტივების/კაპიტალის საწყისი ნაშთების გადაანგარიშებით, თუ შეცდომა დაშვებულ იქნა ყველაზე ადრეულ წარდგენილ საანგარიშგებო პერიოდამდე.

საქართველოს რეგიონული
განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტრო
ასლი დედგენთან სლორია
საქმისწარმოების სამმართველოს
უფროსი

შესაბამისად სამინისტრომ საწყისი ნაშთების კორექტირებები განახორციელა წმინდა ატივების/კაპიტალის საწყისი ნაშთების გადაანგარიშებით (ყველა კორექტირება აღწერილია კაპიტალის მოკორესპონდენტი ანგარიშების განხილვის დროს).

აპარატი

აპარატი - კაპიტალის ანგარიში - საანგარიშგებო წელი 2020, კორექტირებების შედეგად გადაანგარიშდა საწყისი ნაშთი - 934,236,974 ლარით, რომელიც მოიცავდა ინვესტიციების კორექტირებას და გადასესხებული სესხების მოთხოვნების კორექტირებას.

დეპარტამენტი

დეპარტამენტი - კაპიტალის ანგარიში - საანგარიშგებო წელი 2020, კორექტირებების შედეგად გადაანგარიშდა საწყისი ნაშთი - 539,990,933 ლარით, რომელიც მოიცავს ცვეთის, კრედიტორული დავალიანებების, არაფინანსური აქტივების საწყისი ნაშთებში განხორციელებულ კორექტირებებს.

ფონდი

ფონდი - კაპიტალის ანგარიში - საანგარიშგებო წელი 2020, კორექტირებების შედეგად დაკორექტირდა არაფინანსური აქტივები, სხვა ხარჯები, ვალდებულებების კორექტირებები. კორექტირებები გამოწვეულია საადრიცხო პოლიტიკის ცვლილებით - 4,201,014 ლარით და სხვა კორექტირებებით - 33,566,079 ლარით.

ცენტრი

ცენტრი - კაპიტალის ანგარიში - საანგარიშგებო წელი 2020, კორექტირებები განხორციელდა ავანსების მუხლში 887,873,440 ლარით, გრანტების მუხლში.

4. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება

ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიში მოიცავს:

- თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტს;
- დაზუსტებულ ბიუჯეტს;
- ბიუჯეტის შესრულებას (ფაქტობრივ ხარჯვას);
- შესრულების %-ული მაჩვენებელს.


აპარატი

თავდაპირველი დამტკიცებული ბიუჯეტმა შეადგინა - 273,464,000 ლარი;

დაზუსტებული ბიუჯეტი განისაზღვრა - 255,936,000 ლარით;

ბიუჯეტის შესრულება - 303,429,620 ლარი;

შესრულება %-ული მაჩვენებლით 119%.



დეპარტამენტი

თავდაპირველი დამტკიცებული ბიუჯეტმა შეადგინა - 588,200,000 ლარი;
დაზუსტებული ბიუჯეტი განისაზღვრა - 570,616,000 ლარით;
ბიუჯეტის შესრულება - 576,077,804 ლარი;
შესრულება %-ული მაჩვენებლით 101%.

ფონდი

თავდაპირველი დამტკიცებული ბიუჯეტმა შეადგინა - 347,413,500 ლარი;
დაზუსტებული ბიუჯეტი განისაზღვრა - 339,543,500 ლარით;
ბიუჯეტის შესრულება - 403,314,018 ლარი;
შესრულება %-ული მაჩვენებლით 119%.

ცენტრი


თავდაპირველი დამტკიცებული ბიუჯეტმა შეადგინა - 609,600,000 ლარი;
დაზუსტებული ბიუჯეტი განისაზღვრა - 672,894,000 ლარით;
ბიუჯეტის შესრულება - 917,787,051 ლარი;
შესრულება %-ული მაჩვენებლით 136%.

სააგენტო

ბიუჯეტის შესრულება 24,487 ლარი.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ბიუჯეტის შესრულებაში 2,202,373,251 ლარის ნაცვლად სამინისტროს ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია - 2,200,632,980 ლარით. სხვაობამ შეადგინა - 1,740,271 ლარი. აქედან 1,220,099 ლარი არის სააგენტოს თანხა. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 23 მარტის N148 დადგენილებით (ცვლილება - საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის N76 დადგენილება) სააგენტოს საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს განახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ასევე, სააგენტოს მიეცა უფლება, განკარგოს „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროგრამული კოდი 25 01 02 - „ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარება“, სააგენტოსთვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში. აღნიშნულთან დაკავშირებით 1,222,099 ლარი ასახულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში. ასევე, სხვაობა 520,172 ლარს წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ განხორციელებულ პირდაპირ გადახდას, რომელიც განეკუთვნება პროგრამის ფარგლებში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული ხარჯის დაფინანსებას, რის გამოც აღნიშნული თანხა ფონდმა საკუთარ ფინანსურ ანგარიშში არ შეიტანა.


საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის და „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N424 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მოთხოვნები, ხარჯების გაწევის თაობაზე, დაცულია. მხარჯავი



დაწესებულებების მიერ მნიშვნელოვანი გადახრა, როგორც დაზუსტებულ საგეგმო პარამეტრებზე, ასევე ვალდებულებების მოცულობაზე არ ფიქსირდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტროს ეკონომიკური
დეპარტამენტის საფინანსო-საბიუჯეტო
სამმართველოს მთავარი ბუღალტერი (მეორადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)

ქეთო გიორგაძე



კონსოლიდირებული ერთეულები

2020 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, კონსოლიდირებულია შემდეგი კომპონენტების ფინანსური ანგარიშგებები:

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;
- სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;
- სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი;
- სსდ – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი;
- სსიპ – ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო.

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE